



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-10/9226
28/09/2021

9226-15-10-2-202109280959



საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

რეკომენდაცია

მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის განხილვისა და ადგილობრივი საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების უფლებებს შორის კოლიზიის აღმოფხვრასთან დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს პენიტენციურ დაწესებულებებში, მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე უარის თქმის შესახებ ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების შემთხვევებში, პატიმართა საქმისწარმოების პროცედურას.

სახალხო დამცველის აპარატისთვის მსჯავრდებულებისგან ცნობილი გახდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი პრაქტიკის გამო, ისინი ყოველთვის ვერ სარგებლობენ იმ საშუავათო მექანიზმებით, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. კერძოდ, თუკი მსჯავრდებულს ადგილობრივი საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილება გასაჩივრებული აქვს სასამართლოში, საბჭოში მისი საქმის ხელახალი განხილვა სასამართლო პროცესის დასრულებამდე ვეღარ ხდება. მიზეზი მათი პირადი საქმეების სასამართლოებში გადაგზავნაა. პატიმართა პირადი საქმეების სასამართლოში გადაგზავნის გამო, პენიტენციურ დაწესებულებებში აღარ რჩება მსჯავრდებულთა პირადი

დახასიათებები და შესაბამისად, დაწესებულებები ვეღარ აწვდიან საბჭოებს პატიმართა შესახებ სრულ დოკუმენტაციას/ინფორმაციას. ამრიგად, სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე, შესაბამისი ვადის ხელახალი დადგომის მიუხედავად, კანონმდებლობით დადგენილი პროცესი ჩერდება და აღარ განიხილება პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი.

შესაბამისად, მსჯავრდებულებს უწევთ არჩევანის გაკეთება თავის ორ კანონით გარანტირებულ უფლებას შორის - (1) გაასაჩივრონ პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის უფრო მსუბუქი სახით შეცვლის თაობაზე საბჭოს მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება, ან (2) ისარგებლებენ ამ მექანიზმით ხელმეორედ კანონით დადგენილ ვადაში.

ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის აპარატმა, პატიმართაგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, წერილით¹ მიმართა ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებას, კერძოდ, N16 პენიტენციურ დაწესებულებას, რათა გამოერკვია:

- *მსჯავრდებულების მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების შემთხვევაში, იგზავნება თუ არა მათი პირადი საქმე სასამართლოში სრულად და რჩება თუ არა დაწესებულებაში საქმის დედანი ან ასლები;*
- *აღნიშნული უფლებით სარგებლობის შემთხვევაში, ხომ არ ფერხდება პატიმრის დახასიათების ადგილობრივ საბჭოსთვის განსახილველად გადაგზავნა, თუკი სასამართლო განხილვის პერიოდში, კვლავ დადგება კონკრეტული მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის ხელახალი განხილვის დრო.*

N16 პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული წერილით² დასტურდება, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე ადგილობრივი საბჭოს უარის თქმის შემდეგ, გადაწყვეტილების მსჯავრდებულის მიერ ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების შემთხვევაში, შესაბამისი სასამართლოს განჩინების საფუძველზე იგზავნება მსჯავრდებულის სრული პირადი საქმე დედნის სახით. აქედან გამომდინარე, განმარტავს პენიტენციური დაწესებულება, ვინაიდან მსჯავრდებულების სრული პირადი საქმე გადაგზავნილია შესაბამის სასამართლოში, ადგილობრივი საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე განთავისუფლებისა და

¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 2 აპრილის N15-10/3190 წერილი.

² N16 პენიტენციური დაწესებულების 2021 წლის 19 აპრილის N N4171/21 წერილი.

ალტერნატიული სასჯელით შეცვლის ხელახალი განხილვის შემთხვევაში, აღნიშნული დახასიათების ადგილობრივი საბჭოებისთვის ხელმეორედ წარდგენა შეუძლებელი ხდება მანამ, სანამ საქმის მასალები არ დაბრუნდება დაწესებულებაში.³

დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული დილემის წინაშე დგება მსჯავრდებული, რადგან მის პირად საქმეში განთავსებულია ყველა სამართლებრივი აქტი და დამატებითი ინფორმაცია. რაიმე სახის უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით კი საბჭოში გასაგზავნი დახასიათება უნდა შედგეს პატიმრის პირად საქმეში არსებული მონაცემების საფუძველზე.

დამატებით, აპარატს ეცნობა ისიც, რომ 2021 წლის 19 აპრილის მონაცემებით, მსჯავრდებულთა პირადი საქმეები გადაგზავნილი იყო შესაბამის სასამართლოებში, 2021 წლის 11 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მიზნით. პენიტენციური დაწესებულება განმარტავდა, რომ ამ შემთხვევაშიც მსჯავრდებულთა დახასიათებების ადგილობრივ საბჭოებში გადაგზავნა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ მათი საქმეების სასამართლოებიდან დაბრუნების შემდეგ.

ამრიგად, ცნობილი გახდა, რომ ამნისტიის აქტის გავრცელებაც და შესაბამისად, სასამართლოში რაიმე საკითხის განხილვა, რომელიც საჭიროებს მსჯავრდებულის პირადი საქმის გადაგზავნას სასამართლოში, აფერხებს მსჯავრდებულის მიმართ სხვა მექანიზმების, ამ შემთხვევაში კი პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესს.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელისგან გათავისუფლების რამდენიმე საფუძველს იცნობს, მათ შორის, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის მექანიზმს. თუკი პირს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, შეიძლება სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლდეს, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა.⁴ ამასთან, იმავე საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება მსჯავრდებულისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით.⁵ სასჯელისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმით ან

³ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პრობლემაზე საუბრობდა სახალხო დამცველის აპარატის პრევენციული ვიზიტების ფარგლებში პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული არაერთი მსჯავრდებული, მათ შორის, N17 დაწესებულებაში. ასევე, აპარატის წარმოებაშია კონკრეტული პატიმრების საქმეები N10 და N8 პენიტენციური დაწესებულებებიდან, რომლებიც იდენტურ პრობლემაზე მიუთითებენ.

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72, ნაწ. 1.

⁵ იქვე, მუხ. 73, ნაწ. 3 და 3¹.

ალტერნატიული სასჯელებით ვერ სარგებლობენ მსჯავრდებულები, რომელთაც განსაზღვრული აქვთ საშიშროების მაღალი რისკი.⁶

სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე და 73-ე მუხლებით განისაზღვრება სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და ალტერნატიული სასჯელით ცვლილების წინაპირობები, კერძოდ, იმისთვის, რომ მსჯავრდებულს შეეხოს კანონით გათვალისწინებული შეღავათი, მას ფაქტობრივად მოხდილი უნდა ჰქონდეს ე.წ. რეალური სასჯელის ნაწილი, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. რაც იმას ნიშნავს, რომ ერთადერთი წინაპირობა, რათა მსჯავრდებულს შეეძლოს გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ხსენებული შეღავათი, არის მის მიმართ დანიშნული ე.წ. რეალური სასჯელის კანონით განსაზღვრული ნაწილის პენიტენციურ დაწესებულებაში ფაქტობრივი მოხდა. შესაბამისი ვადის დადგომისას კი „პენიტენციური დაწესებულება, სადაც სასჯელს იხდის მსჯავრდებული, ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ამის შესახებ აცნობოს მსჯავრდებულს. შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად შევსებული მსჯავრდებულის დახასიათება“⁷.

საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელებით შეცვლასთან დაკავშირებული კანონმდებლობა გამომდინარეობს ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციიდან,⁸ რომლის მიხედვითაც კანონში მითითებულია კონკრეტული მინიმალური დრო, რომლის გასვლის შემდეგ ადგილობრივი საბჭოები განიხილავენ მსჯავრდებულის საქმეს. ასევე კანონითაა განსაზღვრული ის კრიტერიუმები, რომლებით გამოიყენება გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.⁹

ევროპის საბჭო თავის რეკომენდაციაში უთითებს, რომ სასჯელის მოხდის დაწყებისთანავე პატიმრისთვის ცნობილი უნდა იყოს, როდის შეეძლება გათავისუფლებისთვის თხოვნით მიმართოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ორგანოს. აღნიშნული დათქმა ასევე გაკეთებულია ევროპული ციხის წესებში, რომლის თანახმად,

⁶ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 6.

⁷ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 10, პუნქტ. 2.

⁸ ევროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პარაგრაფი 4.

⁹ თავის მხრივ, კრიტერიუმების სრულყოფის აუცილებლობის შესახებ რეკომენდაცია სახალხო დამცველმა 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში“ გასცა, რომელიც სამწუხაროდ, დღემდე არ არის შესრულებული.

მსჯავრდებულების შემთხვევაში აუცილებელია ინფორმაცია მიეწოდოს მოსახდელი ვადისა და პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობის შესახებ.¹⁰

მოქმედი კანონმდებლობით მსჯავრდებულს სისხლის სამართლის საქმეზე დასაბუთებული, გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებისთანავე სასამართლოს მიერ ეცნობება მოსახდელი სასჯელის შესახებ. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით გამოითვლება პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის მინიმალური ზღვარი (სასჯელის პროპორციით), რის შემდეგაც მას შეუძლია ისარგებლოს კანონით დადგენილი შეღავათით.

კანონი თავისუფლებააღკვეთილ პირს, რომლის მიმართვის საფუძველზე ადგილობრივი საბჭოს მიერ ინდივიდუალური საქმის შესწავლის შედეგად მიღებულ იქნა მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, უფლებას აძლევს აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წესით გაასაჩივროს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში.¹¹

სწორედ ამ შემთხვევაში დგება მსჯავრდებული დილემის წინაშე, თუკი მას უახლოეს მომავალში კვლავ უწევს რომელიმე შეღავათით სარგებლობა,¹² ისარგებლოს კანონით მისთვის მინიჭებული სასჯელის ცვლილების ან ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმით თუ გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რომელსაც არ ეთანხმება და ამით გადადოს სასამართლოში საქმის განხილვის დასრულების ვადით ადგილობრივ საბჭოს მიერ მისი დახასიათების განხილვა და შესაბამისად, შეღავათით სარგებლობის შანსი.

აუცილებელია, პენიტენციურმა სისტემამ საქმისწარმოების პროცესი იმგვარად გამართოს, რომ პატიმარი არ დგებოდეს მსგავსი პრობლემის წინაშე და სრულფასოვნად შეეძლოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებებითა და შეთავაზებული საშეღავათო მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობა.

საკითხის გადასაჭრელად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მსჯავრდებულთა პირადი საქმეების ელექტრონული ბაზის შექმნა, რაც ბიუროკრატიასთან და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც აღმოფხვრის, და სრულფასოვანი ინფორმაციის მომცველიც იქნება თითოეულ პატიმართან დაკავშირებით. დაცული მონაცემების

¹⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ, პარაგრაფი 30.3.

¹¹ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 23.

¹² მაგალითად, პვე-ს შესახებ უარის გადაწყვეტილების შემდეგ, მისი შემდგომი განხილვა კანონით გათვალისწინებული ვადის - 6 თვის ვადაში ხორციელდება, თუმცა სასჯელის პროპორციულობის გამო, აღნიშნულ პერიოდში ასევე შეიძლება ეხებოდეს ალტერნატიული სასჯელის განხილვის მორიგი სხდომა. ასევე შესაძლოა დარჩენილი ჰქონდეს სასჯელის მოხდის ბოლო 6 თვე, რა დროსაც მისი საქმის გადასინჯვა ყოველთვიურად ხდება. ნებისმიერი სხვა მიზეზით, მისი განხილვის უფლების შეზღუდვა, სასამართლოში პირადი საქმის გადაგზავნის მოტივით (მაგალითად, ამნისტიის კანონის აღსრულების მიზნით).

გამოყენება კი პენიტენციურ დაწესებულებას შეეძლება ყველა რელევანტურ შემთხვევაში მარტივად და შემჭიდროვებულ ვადებში, რაც უზრუნველყოფს პატიმართა ინტერესების დაცვას და ზემოხსენებული ხარვეზების აღმოფხვრას.

ელექტრონული ბაზის შექმნა შესაძლებელია განხილულ იქნეს ერთ-ერთ ან საუკეთესო გამოსავლად, თუმცა ეს, ამ შემთხვევაში, ცხადია არ ნიშნავს, რომ არის ერთადერთი გამოსავალი. რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო სწრაფი და რეალისტური გამოსავალი, უწყების ამჟამინდელი ფინანსური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, თავად იუსტიციის სამინისტრომ/პენიტენციურმა სისტემამ უნდა შეიმუშავოს.

ფაქტი ერთია, პატიმართათვის ამ პრობლემის გადაჭრა დაუყოვნებლივ არის შესაძლებელი, თუნდაც მათი პირადი საქმეებიდან რელევანტური ინფორმაციის/დოკუმენტაციის ქსეროასლის გაკეთების გზით. ასევე, ალტერნატივად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იმგვარი გზა, რომ თუკი მსჯავრდებულის პირადი საქმის სასამართლოში ამა თუ იმ მიზეზით გათხოვა მოხდება, გადაგზავნამდე, დაწესებულების პატიმართა პირად საქმეზე პასუხისმგებელი სამსახურის მიერ, წინასწარ განხორციელდეს მსჯავრდებულის დახასიათებისთვის საჭირო მონაცემების პირადი საქმიდან ამოღება.

დასკვნა

პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა პირადი საქმეების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პროცედურის გაუმართავობა არ უნდა გახდეს მსჯავრდებულის უფლების შეზღუდვის საფუძველი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თითოეულ მსჯავრდებულს აქვს უფლება, თუკი არ ეთანხმება ადგილობრივი საბჭოს უარყოფით გადაწყვეტილებას მისთვის შეღავათით სარგებლობასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წესით გაასაჩივროს სასამართლოში. ამასთან, დროულად და ყოველგვარი ვადის გადაწევის გარეშე განხორციელდეს მისი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან/და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით ცვლილების ყოველი მომდევნო განხილვა ადგილობრივ საბჭოებში. გარდა ამისა, სხვა მექანიზმების, მათ შორის ამნისტიის აქტის გამოყენება, ასევე არ უნდა აფერხებდეს მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცედურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით, გაატაროთ იმგვარი ღონისძიებები პატიმართა პირადი საქმეების წარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ეფექტურ შესაძლებლობას და ამასთან არ დააბრკოლებს კანონით განსაზღვრული საშეღავათო მექანიზმების ჯეროვან ფუნქციონირებას.

გთხოვთ, წინამდებარე რეკომენდაციის განხილვის შედეგების შესახებ მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

